საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 206

28 06 2013 წ.

ქ. თბილისი

პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვის მიზნით, დამსაქმებლებისა და პროგრამების განმახორციელებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, 2013 წლის 23-24 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) გაიმართა ინჟინერიის, აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების, ჯანდაცვის, ხელოვნების მიმართულებების და ჟურნალისტიკის დარგისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს პროფესიულ სტანდარტებში I, II და III საფეხურების გაერთიანების საკითხს. პროფესიულ სტანდარტებში I, II და III საფეხურების გაერთიანების საკითხი ასევე განიხილეს 2013 წლის 27 მაისს თემატური ჯგუფების „ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში" და „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა" გაერთიანებულ სხდომაზე და 2013 წლის 5 ივნისს დაინტერესებულ პირთა შეხვედრზე, რომლის მონაწილეებიც დაეთანხმნენ პროფესიულ სტანდარტებში I, II და III საფეხურების გაერთიანებას.

საბოლოოდ 2013 წლის 27 ივნისს ცენტრში გაიმართა თემატური ჯგუფის „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა" სხდომა, რომელმაც მხარი დაუჭირა მოდიფიცირებული 50 პროფესიული სტანდარტის დამტკიცებას, რაც დასტურდება თემატური ჯგუფის „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა" 2013 წლის 27 მაისის სხდომის №3 ოქმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20^2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-16 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს შემდეგი პროფესიული სტანდარტები:

ა)მებაღის (დეკორაციული მცენარეების) პროფესიული სტანდარტი დანართი №1 შესაბამისად.

ბ) მევენახის პროფესიული სტანდარტი დანართი №2 შესაბამისად.

გ) მემცენარის პროფესიული სტანდარტი დანართი №3 შესაბამისად.

დ)მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი) პროფესიული სტანდარტი დანართი №4 შესაბამისად.

ე) მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი დანართი №5 შესაბამისად.

ვ) ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №6 შესაბამისად.

ზ) მეღვინის პროფესიული სტანდარტი დანართი №7 შესაბამისად.

თ) კონდიტერის პროფესიული სტანდარტი დანართი №8 შესაბამისად.

ი) მზარეულის პროფესიული სტანდარტი დანართი №9 შესაბამისად.

კ) მეტყევის პროფესიული სტანდარტი დანართი №10 შესაბამისად.

ლ) მოლარის (ბანკის და ა.შ.) პროფესიული სტანდარტი დანართი №11 შესაბამისად.

მ)საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №12 შესაბამისად.

ნ)ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №13 შესაბამისად.

ო)გიდის (გეოტურიზმის და ა. შ.) პროფესიული სტანდარტი დანართი №14 შესაბამისად.

პ) სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №15 შესაბამისად.

ჟ)ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №16 შესაბამისად.

რ)კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №17 შესაბამისად.

ს)სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის სტანდარტი დანართი №18 შესაბამისად.

ტ)რადიო და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის სტანდარტი დანართი №19 შესაბამისად.

უ) ელექტრიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №20 შესაბამისად.

ფ)ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №21 შესაბამისად.

ქ)ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის პროფესიული სტანდარტი დანართი №22 შესაბამისად.

ღ)კალატოზის პროფესიული სტანდარტი დანართი №23 შესაბამისად.

ყ) მებათქაშის პროფესიული სტანდარტი დანართი №24 შესაბამისად.

შ) მეფილე-მომპირკეთებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №25 შესაბამისად.

ჩ) მღებავის პროფესიული სტანდარტი დანართი №26 შესაბამისად.

ც)რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) პროფესიული სტანდარტი დანართი №27 შესაბამისად.

ძ) საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №28 შესაბამისად.

წ)კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (Autocad) ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №29 შესაბამისად.

ჭ)გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის პროფესიული სტანდარტი დანართი №30 შესაბამისად.

ხ)სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №31 შესაბამისად.

ჯ) ძრავის შემკეთებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №32 შესაბამისად.

ჰ) პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №33 შესაბამისად.

ჰ[1]) დურგლის პროფესიული სტანდარტი დანართი №34 შესაბამისად.

ჰ[2])სამაცივრო მოწყობილებების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №35 შესაბამისად.

ჰ[3])სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №36 შესაბამისად.

ჰ[4])მდნობელის პროფესიული სტანდარტი დანართი №37 შესაბამისად.

ჰ[5]) შემდუღებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №38 შესაბამისად.

ჰ[6])გვირაბგამყვანის პროფესიული სტანდარტი დანართი №39 შესაბამისად.

ჰ[7])სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №40 შესაბამისად.

ჰ[8])სამთო ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №41 შესაბამისად.

ჰ[9])ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიული სტანდარტი დანართი №42 შესაბამისად.

ჰ[10])აგრარული ტექნიკის მექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №43 შესაბამისად.

ჰ[11])იუველირის პროფესიული სტანდარტი დანართი №44 შესაბამისად.

ჰ[12])დეკორატიული-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №45 შესაბამისად.

ჰ[13])სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №46 შესაბამისად.

ჰ[14])ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №47 შესაბამისად.

ჰ[15]) ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №48 შესაბამისად.

ჰ[16]) მოცეკვავის პროფესიული სტანდარტი დანართი №49 შესაბამისად.

ჰ[17]) არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) პროფესიული სტანდარტი დანართი №50 შესაბამისად.

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შემდეგი ბრძანებები: №50-27.01.2011; №53-27.01.2011; №134-31.01.2011; №111-27.01.2011; №105-27.01.2011; №274-23.06.2011; №108-27.01.2011; №186-05.04.2011; №187-05.04.2011; №106-27.01.2011; №735-14.09.2012; №202-05.05.2011; №227-01.06.2011; №184-05.04.2011; №135-31.01.2011; №161-31.12.2010; №157-31.12.2010, №210-31.12.2010; №137-31.12.2010; №196-31.12.2010; №256-15.06.2011, №181-31.12.2010; №68-27.01.2011; №69-27.01.2011; №60-27.01.2011; №61-27.01.2011; №63-27.01.2011; №64-27.01.2011; №222-31.12.2010; №66-27.01.2011; №55-27.01.2011; №56-27.01.2011; №459-27.06.2012; №199-31.12.2010; №179-31.12.2010; №123-31.12.2010; №150-31.12.2010; №208-31.12.2010; №194-31.12.2010; №221-31.12.2010; №214-31.12.2010; №110-27.01.2011; №115-27.01.2011; №92-27.01.2011; №96-27.01.2011; №213-31.12.2010; №85-27.01.2011; №86-27.01.2011; №153-31.12.2010; №190-31.12.2010.

3.დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ,№6)

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ელენე ჯიბლაძე